

გეორგიული სკრიპტის  
პირველი ნაწილი

ბრძანება



Георгиевский

трактат



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია  
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

მზ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტი

ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ  
ИМЕНИ И. А. ДЖАВАХИШВИЛИ



# Гео́ргиевский тра́ктат

До́говор  
1783 года  
о вступлении  
Восточной Грузии под покровительство России



Текст подготовил к изданию, введением и примечаниями  
снабдил Г. Г. Пайчадзе

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ  
1983

გორგოვესკის  
ბრაქიტები

1783 წლის  
ხელშეკრულება  
რუსეთის მფარველობაში  
აღმოსაღლოთ საქართველოს შიხლის შესახებ



ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები  
დაურთო გ ი ო რ გ ი კ ა ი ჭ ა ძ ე მ

ბამოცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1983

9 (C 41)  
63.3.(2Г)  
9. (47.922)  
8 341

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატით აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით ცალკე წიგნად სრული სახით ქვეყნდება ტრაქტატის ტექსტი. პუბლიკაცია შეიცავს აგრეთვე ქართული დედნების ფაქსიმილს.

В 1783 году по Георгиевскому трактату Восточная Грузия вступила под покровительство России. В связи с 200-летием Георгиевского трактата отдельной книгой полностью публикуется текст трактата. Публикация содержит также факсимиле грузинских подлинников.

#### მთავარი სარედაქციო კოლეგია:

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, რ. კაკნაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გ. შელიქიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია, გ. ჯიბლაძე.

#### ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Ш. В. Дзидзигური (главный редактор), М. Д. Абашидзе, З. А. Алексидзе, В. Н. Габашвили, Г. Н. Джибладзе, В. И. Дзидзигური, Т. С. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. А. Меликишвили, Э. В. Хоштария.

ტომის რედაქტორება: შ. ძიძიგური, რ. კაკნაძე.  
Редакторы тома: Ш. В. Дзидзигური, Р. К. Кикнадзе.



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ჩრდილო კავკასიაში აგებულ პატარა ციხესიმაგრეს — გეორგიევსკს 1783 წელს წილად ხვდა საერთაშორისო ტრაქტატის ხელმოწერის ადგილად ქცეულიყო. აქ დაიდო ქართლ-კახეთის სამეფოს, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს, რუსეთის მფარველობაში შესვლის ხელშეკრულება, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით გახდა ცნობილი.

გეორგიევსკის ტრაქტატი, ერთი მხრივ, კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის გააქტიურების, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს მიერ ირან-ოსმალეთის აგრესიისაგან თავის დაღწევის სულ უფრო და უფრო მზარდი მისწრაფების შედეგი იყო.

მოწინავე ქართველმა სახელმწიფო მოღვაწეებმა XVI—XVIII საუკუნეებში ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლის პირობებში შეიმუშავეს რუსეთთან დაკავშირების საგარეო პოლიტიკური კურსი. ერეკლე II ამ ტრადიციულ პოლიტიკას მტკიცედ ახორციელებდა.

რაც შეეხება ეკატერინე II-ის მთავრობას, იგი ითვალისწინებდა საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მნიშვნელობას ახლო და შუა აღმოსავლეთში რუსეთის საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად. ამიტომაც XVIII საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც რუსეთის იმპერია წარმატებით აფართოებდა სამხრეთში თავის საზღვრებს, ეკატერინე II-ის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია, რომ კავკასიაში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად მიეღო.

სამხრეთში რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის განხორციელება დავალებული ჰქონდა ნოვოროსიის, აზოვის, სარატოვისა და ასტრახანის მეფისნაცვალს გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინს, რომელმაც რუსეთთან ყირიმის შეერთების შემდეგ (1783 წლის აპრილი) „ბრწყინვალე თავად თავრიდელის“ ტიტულიც მიიღო. იმის გამო, რომ გ. პოტიომკინი მეტად დაკავებული იყო რუსეთის იმპერიის ევროპული ნაწილის სამხრეთის უზარმაზარი ტერიტორიის საქმეებით, მან გადაწყვიტა, მეტი ოპერატიულობის მიზნით, კავკასიის საქმეების წარმართვისათვის ცალკე სამმართველო შეექმნა. ეს საქმეები მან გადააბარა თავის ნათესავს, პავლე სერგის ძე პოტიომკინს, რომელიც კავკასიის ხაზის მთავარსარდლად დაინიშნა. 1782 წლის ნოემბერში პ. პოტიომკინი გეორგიევსკში განლაგებულ თავის შტაბ-ბინას ეწვია.

გრიგოლ პოტიომკინმა თავისი კომისიონერის ი. რაინეგის მეშვეობით ერეკლე II-ს შეატყობინა: თუ ამჯერად ეკატერინე II-ს მიმართავთ თხოვნით, ქართლ-კახეთის სამეფოს დაუყოვნებლივ რუსეთის მფარველობაში მიიღებნო. 1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლემ ოფიციალურად მიმართა ეკატერინეს და საკუთარი პირობები წამოაყენა. რუსეთის მთავრობა შეუდგა ხელშეკრულების პროექტის შედგენას. იგი რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის წევრს ა. ბეზბოროდკოს დაავალეს.

1783 წლის მაისში პოდპოლკოვნიკმა ვ. ტამარამ ერეკლე II-ს თბილისში ხელშეკრულების პროექტი ჩამოუტანა. სამეფო საბჭოზე ტრაქტატის პროექტის დეტალური განხილვის შემდეგ ერეკლემ მისი მიღება გადაწყვიტა. რუსეთის მხრიდან ტრაქტატის ხელმოწერა პავლე პოტიომკინს დაევალა. ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლებად ივანე ბაგრატიონი (მუხრანბატონი) და გარსევან ჭავჭავაძე დაინიშნენ. ხელშეკრულების ხელმოწერის ადგილად გეორგიევსკის ციხესიმაგრე აირჩიეს.

1783 წლის 18 ივლისს საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლები 22-კაციანი ამაღლის თანხლებით საზეიმოდ, წინასწარ შემუშავებული ცერემონიალის მიხედვით, გეორგიევსკის ციხესიმაგრეში მიიღეს. დაიწყო სხდომები და ტექსტის განხილვა. 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ტრაქტატი ხელმოწერილ იქნა.

1783 წლის ხელშეკრულება განამტკიცებდა რუსეთთან საქართველოს ისეთ კავშირს, რომელიც მოასწავებდა ქართლ-კახეთის სუვერენული სამეფოს შესვლას რუსეთის იმპერიის მფარველობაში.

გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით საქართველომ საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით უარყო ირანსა და ოსმალეთზე თავისი დამოკიდებულება და ნებაყოფლობით რუსეთის მფარველო-



ბაში შევიდა. ამით საქართველოს შემდგომი განვითარება რუსეთში მიმდინარე პროგრესულ პროცესს დაუკავშირდა.

მართლშეგნება და სამართლებრივი ნორმები, რითაც ხელმძღვანელობდნენ საქართველო და რუსეთი ტრაქტატის დადების ს, დამახასიათებელი იყო ფეოდალური ეპოქის საერთაშორისო სამართლისათვის. ეს იყო ხელშეკრულება ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს მფარველობაში უფრო სუსტი სახელმწიფოს ნებაყოფლობით შესვლის შესახებ. ამ აქტით ქართველი პატრიოტები შეეცადნენ რუსეთის იმპერიისაგან მიეღოთ ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისა და შენარჩუნების იურიდიული გარანტია, რომელიც ქვეყნის უშიშროებას გარეშე მტრების შემოსევისაგანაც უზრუნველყოფდა.

ხელშეკრულების ტექსტი შედგება პრეამბულის, 13 ძირითადი და 4 სეპარატული მუხლის ანუ არტიკულისაგან. მათ ერთვის ტექსტი ფიცისა, რომელიც ერეკლე მეფეს უნდა დაედო რუსეთის იმპერატორის ერთგულების ნიშნად, და დამატებითი ანუ „შესასრულებელი არტიკული“, რომელიც ქართლ-კახეთის მეფეთა კურთხევისა და მირონცხების წესს შეეხება. ეს მუხლი გეორგიევსკში ქართველ წარმომადგენელთა თხოვნით მიიღეს და მოგვიანებით გააფორმეს. საქართველოს სრულყოფილებიანმა წარმომადგენლებმა მას ხელი თბილისში 1784 წლის 24 იანვარს მოაწერეს, ე. ი. ერეკლე II-ის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის დღეს.

ტრაქტატი ძალაში შედიოდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ. 1784 წლის 22 იანვარს ერეკლემ მიიღო ეკატერინე II-ის სარატიფიკაციო სიგელი, რომელიც ვ. ტამარამ (იგი უკვე პოლკოვნიკის ჩინს ატარებდა) ინვესტიტურის ნიშნებთან ერთად ჩამოუტანა ქართველ მეფეს, ხოლო 1784 წლის 24 იანვარს ერეკლემ თავის სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა და გადასცა ვ. ტამარას. რუსეთის მთავრობას ერეკლე II-მ წარუდგინა აგრეთვე სია ქართლ-კახეთის თავად-აზნაურებისა, რომელთაც ხელშეკრულების მეცხრე მუხლის თანახმად რუსეთში ჩასვლის შემთხვევაში უფლება ეძლეოდათ ესარგებლათ ისეთივე პრივილეგიებით, რაც რუსეთის თავადაზნაურობას ჰქონდა. ეს სია ერეკლეს მიერ ხელმოწერილი იყო 1783 წლის 28 ივნისს.

ტრაქტატის სეპარატული არტიკულების ტექსტი საიდუმლოდ ითვლებოდა, ამიტომაც ცალკე იყო გაფორმებული და თავის დროზე არ გამოქვეყნებულა.

ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ ქართული დოკუმენტების დედნები:

1. 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში ხელმოწერილი ტრაქტატის ქართული ტექსტი, რომელიც ამჟამად ინახება ქ. მოსკოვში,

რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში<sup>1</sup>. ეს ტექსტი დაწერილია მხედრულით 46,3×31,2 სმ ზომის თეთრ ქაღალდზე და დამოწმებულია ხელმოწერითა პირადი ლუქის ბეჭდებით. რუსეთის მეფის ტიტული და სახელი მსხვილი ასოებით არის გამოყოფილი, ხოლო ერეკლე II-ის სახელი ერთგან წერია მსხვილი ასოებით. დანარჩენ შემთხვევაში ერეკლეს სახელის, მამის სახელისა და ტიტულის მხოლოდ პირველი ასოები წერია მსხვილად. ასევეა დაწერილი გ. პოტიომკინის, პ. პოტიომკინის, ი. ბაგრატიონისა და გ. ჭავჭავაძის სახელები, გვარები და წოდება-თანამდებობანი, აგრეთვე გეოგრაფიული სახელები.

2. ერეკლე II-ის მიერ 1784 წლის 24 იანვარს რატიფიცირებული ტექსტი, რომელიც იმთავითვე რუსეთის მთავრობას გადაეგზავნა. ეს სარატიფიკაციო სიგელი საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით 1922 წელს, სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად, საქართველოს დაუბრუნდა და ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H—2073). ტექსტი დაწერილია 48×34 სმ ზომის ეტრატზე მხედრულით. რუსეთის მეფის ტიტული და სახელი გამოყოფილია ასომთავრულით. რაც შეეხება ერეკლეს სახელს, მამის სახელსა და ტიტულს, მხოლოდ მათი პირველი ასოებია დაწერილი ასომთავრულით. ასეთივე წესით წარმოდგენილია გ. პოტიომკინის, პ. პოტიომკინის, ი. ბაგრატიონისა და გ. ჭავჭავაძის სახელები, გვარები და წოდება-თანამდებობანი. მკვლევარ თინათინ ენუქიძის დაკვირვებით, ეს ტექსტი ერეკლე II-ის მდივანბეგ-მდივნის სოლომონ ლიონიძის ხელითაა დაწერილი.

ხელნაწერი აკინძულია საგანგებო ზონრით, რომლის ბოლოსაც დამაგრებულია სამეფო ბეჭდის საცავი თითბრის ორი მრგვალი კოლოფი. ერთი ეკუთვნის 13 ძირითადი მუხლისა და ერეკლე II-ის ფიცის ტექსტს, როგორც ცალკე გაფორმებულს, ხოლო მეორე განეკუთვნება სეპარატული არტიკულების ტექსტს, რომელიც აგრეთვე ცალკეა გაფორმებული. თითოეული კოლოფის დიამეტრი უდრის 17 სანტიმეტრს, სიმაღლე — 3 სანტიმეტრს. ორივე კოლოფის ხუფზე დამაგრებულია ჭედური მოჩუქურთმებული რგოლი და ჭედური ფირფიტა ქართული სამეფო ბეჭდის ძირითადი ფარის გამოსახულებით. მის ზედა ნაწილში კი გამოსახულია ორთავიანი არწივი — რუსეთის იმპერიის გერბი, როგორც სიმბოლური გამოსახულება იმისა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში იყო შესული. ერთი ყუთი იხსნება და მასში დაცულია იმავე ზომის წითელი ლუქის ბეჭედი, რომელიც შეი-

<sup>1</sup> Архив внешней политики России (АВПР), ф. «Трактаты», оп. 2(466<sup>a</sup>), д. № 178, лл. 3—8.

ცავს ცენტრში იმავე გამოსახულებას, ხოლო ირგვლივ ქართული ბეჭდის სხვა ელემენტებსაც.

ეს ხელნაწერი, როგორც სარატიფიკაციო სიგელი, შეიცავს სათანადო შესავლებსა და დასკვნებს. რადგანაც ცალკე იყო გაფორმებული 13 ძირითადი მუხლი ფიცის ტექსტის ჩათვლით და ცალკე 4 სეპარატული მუხლი, მათ თავ-თავისი სარატიფიკაციო შესავალი და დასკვნა აქვთ.

ერეკლე II-ის ხელმოწერა დამოწმებულია, სპეციალურ ტერმინოლოგიას რომ მივმართოთ, კონტრასიგნებულია დავით ორბელიანისა და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მიერ. როგორც ვხედავთ, სრულუფლებიანი ელჩების და ერეკლე II-ის ხელმოწერის დამოწმებულთა ვინაობა ცხადყოფს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის იურიდიულ გაფორმებაში მონაწილეობდნენ ქართლისა და კახეთის წარმომადგენლები.

ამრიგად, აღნიშნული ორივე ქართული ხელნაწერი გეორგიევსკის ტრაქტატის დედანს წარმოადგენს. ამ ორ ხელნაწერს შორის ის განსხვავებაა, რომ ერეკლე II-ის მიერ რატიფიცირებული ტექსტი, ვიმეორებთ, შეიცავს სათანადო სარატიფიკაციო შესავალსა და დასკვნით ტექსტებს. გარდა ამისა, შეიმჩნევა მცირეოდენი სტილისტური და ორთოგრაფიული ხასიათის განსხვავება, რასაც ჩვენ სქოლიოში ვუთითებთ.

რუსული დედნები, ე. ი. ხელმოწერილი რუსული ტექსტები, არქივებში არ მოიძებნა. მოსკოვში, რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში დაცულ ქართულ დედანს ახლავს ხელმოწერილი რუსული ტექსტი, რომელსაც ამჯერად დედნის მნიშვნელობა ენიჭება. იგი შეიცავს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის სათანადო შენიშვნას, რომ წარმოადგენს ქართული დედნის რუსულ თარგმანს, ხოლო რუსეთის მხრიდან გათვალისწინებული სარატიფიკაციო სიგელის ტექსტს აწერია, რომ იგი მოწონებული იყო ეკატერინე II-ის მიერ 1783 წლის 11 სექტემბერს ცარსკოე სელოში. ხელმოწერის თარიღად კი აღნიშნულა 21 სექტემბერი.

ეკატერინე II-ის მიერ ხელმოწერილი რუსული სარატიფიკაციო სიგელი ქართლ-კახეთის მეფეს გადმოეგზავნა და ერეკლე II-ის სასახლეში ინახებოდა, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია, ალბათ, იმ მიზეზით, რომ ქართველ მეფეთა არქივები დაკარგული და განადგურებული აღმოჩნდა. გავიხსენოთ თუნდაც 1795 წელს თბილისის დარბევის ტრაგედია, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად რომ მოხდა.

გეორგიევსკის ტრაქტატი პირველად 1783 წელსვე პეტერბურგში, სენატის სტამბაში დაიბეჭდა. ეს იყო მხოლოდ რუსული ტექსტის 13 მუხლისა და ფიცის ტექსტის პუბლიკაცია, რომელსაც აკლდა სეპარა-

ტული არტიკულები, როგორც საიდუმლო მუხლები, და დამატებითი მუხლი. ეს გამოცემა საინფორმაციოდ იყო გამიზნული, რაც კარგად ჩანს ა. ბეზბოროდკოს ერთ-ერთი წერილიდან. ა. ბეზბოროდკო, რომელიც რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის წევრი და ეკატერინე II-ის პირადი მრჩეველი იყო, 1783 წლის 21 აგვისტოს ცარსკოე სელოდან საგარეო საქმეთა კოლეგიას საგანგებოდ სწერდა, საჭიროა გეორგიევსკის ტრაქტატის 13 მუხლის დაუყოვნებლივ გამოქვეყნება, რათა იგი საყოველთაოდ ცნობილი გახდეს, ხოლო საზღვარგარეთ რუს დიპლომატებს ოფიციალურად უნდა ეცნობებინათ უცხოეთის მთავრობებისათვის ტრაქტატის დადება. თუ გეორგიევსკის ტრაქტატი ევროპის მმართველ წრეებში უკმაყოფილებას გამოიწვევდა, მაშინ რუს დიპლომატებს უნდა ეთქვათ, აზიის საქმეებს ევროპის ქვეყნების საქმეებისაგან განცალკევებულად მივიჩნევთ<sup>2</sup>.

1784 წელს საგარეო საქმეთა კოლეგიის დავალებით პეტერბურგში, მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, 900 ეგზემპლარი ტირაჟით, პარალელურად რუსულ და ქართულ ენებზე (ქართული ტექსტი ნუსხურით იყო აწყობილი) დაიბეჭდა ტრაქტატის 13 მუხლი და ფიცის ტექსტი<sup>3</sup>. დამატებად მას ერთვოდა ერეკლე II-ის მიერ წარმოდგენილი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია.

---

<sup>2</sup> ა. ბეზბოროდკოს წერილში ნათქვამი იყო: «Препровождая сим трактат, заключенный с Карталинским и Кахетинским царем Ираклием Теймуразовичем о признании им верховной власти Всероссийских императоров над царями и царствами Карталинским и Кахетинским, имею честь сообщить вашему сиятельству о высочайшем ея императорского величества соизволении, чтоб во-первых, на сей трактат заготовлена была императорская ратификация, в которой царю Ираклию Теймуразовичу дать все те титулы, коими он себя именует в своей полной мочи. Второе, сей трактат для сведения в империи Всероссийской напечатать, а хотя и должно оный во известие сообщить министрам российским в чужих краях пребывающим, но притом наставить их, что в случае каковых-либо беспокоеств от каких бы то ни было держав имеют они отвечать, что у нас все вообще дела азиатские почитаются посторонними и отнюдь не принадлежащими к европейским державам, так что и сами союзники наши имеют о том с нами точное условие, что и здесь наблюдать. Третье, что же касается до сепаратных артикулов, оные в печать не отдавать и никуда не разсылать» (АВГР, ф. «Трактаты», оп. 2(466<sup>а</sup>), д. № 178, л. 18 и об.).

<sup>3</sup> ამ გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით საინტერესოა საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის ა. ბეზბოროდკოს მიერ 1783 წლის 15 დეკემბერს გაგზავნილი წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: «Ея императорскому величеству угодно, чтоб... препроводить к ее сиятельству княгине Катерине Романовне Даш-

1783 და 1784 წლების გამოცემებს არ ჰქონდა არც სატიტულო ფურცლები, არც სათაურები.

შემდეგი გამოცემა განხორციელდა 1830 წელს. რუსეთის იმპერიის კანონთა სრულ კრებულში დაიბეჭდა ტრაქტატის რუსული ტექსტი<sup>4</sup>, მაგრამ მას კვლავ აკლდა სეპარატული არტიკულები.

გეორგიევსკის ტრაქტატის ქართული ტექსტის 13 მუხლი, 4 სეპარატული არტიკული და ერეკლე II-ის ფიცის ნიმუში ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა ერეკლე II-ის მიერ რატიფიცირებული ტექსტის მიხედვით<sup>5</sup>. ამიტომ ეს პუბლიკაცია შეიცავს 13 მუხლისა და 4 სეპარატული არტიკულის სათანადო სარატიფიკაციო შესავლებსა და დასკვნებს, თუმცა გაუგებარია, თუ რატომ არის ორივე დასკვნა ბოლოში გადატანილი. ამავე დროს ამ პუბლიკაციას აკლია დამატებითი ანუ „შესასრულებელი არტიკული“ ქართველ მეფეთა კურთხევის წესის შესახებ და ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია. ამდენად, ა. ცაგარელის პუბლიკაცია ფაქტობრივად არის მხოლოდ სარატიფიკაციო სიგელის დედნის გამოცემა და არა იმ დედნისა, რომელსაც გეორგიევსკში ხელი მოაწერეს პ. პოტიომკინმა, ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ.

ა. ცაგარელს ეკუთვნის ა. ბეზბოროდკოს მიერ შედგენილი ტრაქტატის ძირითადი 13 მუხლის პროექტისა და ხელმოწერილი 4 სეპარატული არტიკულის რუსული ტექსტის პუბლიკაცია<sup>6</sup>.

გეორგიევსკის ტრაქტატის სხვა გამოცემები მხოლოდ იმეორებდნენ ზემოხსენებულ პუბლიკაციებს. მაგალითად, ზ. ავალიშვილმა (ზ. ავალოვმა) გამოსცა რუსეთის იმპერიის კანონთა სრულ კრებულში გამოქვეყნებული რუსული ტექსტი, რაც, ვიმეორებთ, წარმოადგენს მხოლოდ 13 მუხლისა და ერთი დანართის (მუხლი ქართლ-კახეთის მეფეთა კურთხევის წესის შესახებ) ტექსტების პუბლიკაციას<sup>7</sup>. 1918 წელს გ. ვეშაპელმა გაიმეორა ა. ცაგარელის მიერ გამოცემული სარატიფიკაციო სიგელის პუბლიკაცია, მაგრამ მიუთითა არა ა. ცაგა-

---

ковой с г-м канцелярии советником князем Моуравовым верную копию трактата, постановленного с Карталинским и Кахетинским царем Ираклием, для напечатания в Академии на грузинском и российском языках» (АВПР, ф. «Трактаты», оп. 2(466<sup>а</sup>), д. № 178, л. 19).

<sup>4</sup> Полное собрание законов Российской империи (ПСЗ), т. 21, СПб., 1830, № 15835, с. 1013—1017.

<sup>5</sup> Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. II, вып. I, СПб., 1898, с. 99—100.

<sup>6</sup> Грамоты..., т. II, вып. II, СПб., 1902, с. 32—41.

<sup>7</sup> З. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб., 1906, с. 278—287.

რელის ნაშრომი, არამედ რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებუ-  
ლი<sup>8</sup>.

1949 წელს დ. ენუქიძემ გამოაქვეყნა ერეკლე II-ის მიერ რატი-  
ფიცირებული ტექსტი დედნის, ე. ი. H — 2073 ხელნაწერის მიხედ-  
ვით<sup>9</sup>, მაგრამ უზუსტობა დაუშვა, როდესაც დაასკვნა, რომ თითქოს  
ეს ხელნაწერი „მთლიანი სახით არ არის დაცული“. დ. ენუქიძე წერს,  
რომ „ამ ისტორიული ძეგლის დასაწყისი და ბოლო“ მას ა. ცაგარე-  
ლის შრომიდან აქვს გადმოხეჭილი<sup>10</sup>. მაგრამ საქმეც ის არის, რომ  
ა. ცაგარელისეული პუბლიკაცია იწყება ერეკლე II-ის მიერ ი. ბაგ-  
რატიონისა და გ. ჭავჭავაძისადმი 1783 წლის 28 ივნისს გაცემული  
რწმუნების სიგელის ტექსტით, რომელსაც, სამწუხაროდ, არ ახლავს  
სათანადო სათაური ან რაიმე განმარტება, და ეს ტექსტი გეორგიევ-  
სკის ტრაქტატის ტექსტის დასაწყისად არ ჩაითვლება. ასევე არ ჩაი-  
თვლება გეორგიევსკის ხელშეკრულების ტექსტის ბოლოდ ა. ცაგა-  
რელის მიერ რატომღაც ბოლოში გადატანილი 13 მუხლის სარატიფი-  
კაციო დასკვნა.

1960 წელს ი. ცინცაძემ გამოაქვეყნა ა. ბეზბოროდკოს მიერ შედ-  
გენილი ტრაქტატის პროექტის ტექსტი ა. ცაგარელის გამოცემის  
მიხედვით და გაიმეორა XVIII საუკუნის 80-იან წლებში გამოცემუ-  
ლი ოფიციალური რუსული ტექსტი, აგრეთვე გამოაქვეყნა ერეკლე  
II-ის სარატიფიკაციო სიგელის ტექსტი, მაგრამ მანაც არ შიუთითა,  
რომ ეს არის სარატიფიკაციო სიგელის ტექსტის გამოცემა და არა იმ  
დედნისა, რომელიც გეორგიევსკში გაფორმდა<sup>11</sup>.

1964 წელს ა. იოვიძემ და შ. ჩხეტიამ გაიმეორეს ტრაქტატის  
რუსული ტექსტის გამოცემა რუსეთის იმპერიის კანონთა სრულ კრე-  
ბულში დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით<sup>12</sup>.

ტრაქტატის ქართული და რუსული ტექსტები, მაგრამ დამატები-  
თი არტიკულის დაურთველად, 1965 წელს გამოაქვეყნა ი. დოლი-  
ძემ<sup>13</sup>. ქართული ტექსტი მასაც ერეკლეს სარატიფიკაციო სიგელის

<sup>8</sup> გ. ვეშაპელი, საქართველო და რუსეთი. რუსეთისა და საქართველოს  
ტრაქტატი 1783 წლის და ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს  
საკავშირო ხელშეკრულება 1790 წლისა, თბ., 1918, გვ. 27—44.

<sup>9</sup> საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენ-  
ტები. შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ, თბ., 1949, გვ. 31—43.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 43.

<sup>11</sup> ი. ცინცაძე, 1783 წლის შფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960.

<sup>12</sup> ა. იოვიძე, შ. ჩხეტია, რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრო-  
ბის ისტორიისათვის. „საისტორიო მოამბე“, ტ. 17—18, თბ., 1964, გვ. 281—285.

<sup>13</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და სა-  
ძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 11, თბ., 1965, გვ. 457—492.

მიხედვით აქვს გამოცემული, ხოლო რუსული ტექსტის ფოტოპირი ჩვენ მივაწოდეთ<sup>14</sup>.

ამრიგად, ყველა გამოცემას რაღაც ნაწილი აკლდა, ხოლო გეორგიევსკში ხელმოწერილი დედანი გამომცემლებს არ გაუთვალისწინებიათ. დამატებითი მუხლის ქართული ტექსტი კი (ე. ი. „შესასრულებელი არტიკული“ ქართველ მეფეთა კურთხევისა და მირონცხების წესის შესახებ) საერთოდ არ გამოქვეყნებულა. სწორედ ამ გარემოებაზე გვიკარნახა, რომ გამოგვეცა გეორგიევსკის ტრაქტატის სრული ტექსტი მისი ყველა დანართით და სათანადოდ მიგვეთითებინა როგორც თვით ხელნაწერების (ე. ი. გეორგიევსკში ხელმოწერილი დედნისა და ერეკლე II-ის სარატიფიკაციო სიგელის დედნის) ვარიანტები, ისე გამომცემელთა მიერ სხვადასხვაგვარად ამოკითხული ტექსტი. ასეთი პუბლიკაცია ჩვენ მკითხველს მივაწოდეთ 1970 წელს, რ. მიმინოშვილთან ერთად<sup>15</sup>.

ამჯერად გეორგიევსკის ტრაქტატის დადების ორას წლისთავთან დაკავშირებით ცალკე წიგნად ქვეყნდება ტრაქტატის ქართული და რუსული ტექსტები.

ჩვენს გამოცემაში ძირითადად დაცულია ტექსტის ორთოგრაფია, გასწორებულია მხოლოდ აშკარა შეცდომები. უნდა აღინიშნოს ტექსტის დედნების მართლწერის ერთგვარი სიჭრელე: მ, ჯ, ხ, ჯ ასოების უადგილო ხმარება ან მონაცვლეობა, მაგრამ რაკი ეს დამახასიათებელია იმდროინდელი ქართულისათვის, არ გვიცდია ფორმათა უნიფიკაცია. მხოლოდ გავხსენით ქარაგმები და აგრეთვე უმ დაწერილობა შევცვალეთ უე კომპლექსით. ერთცნებიანი კომპოზიტები შეერთებულია.

წინამდებარე გამოცემაში შესულია როგორც ქართული, ისე რუსული დოკუმენტები. ტექსტები ქვეყნდება ისტორიული საბუთების გამოცემისათვის დადგენილი წესების მიხედვით.

ჩვენი პუბლიკაცია შეიცავს აგრეთვე ქართული დოკუმენტური მასალის ფაქსიმილურ გამოცემას ფოტოტიპიის სახით. ეს არას ერეკლე II-ის მიერ ი. ბაგრატიონისა და გ. ჭავჭავაძისადმი გაცემული

14 იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 639.

15 იხ. კრებული: „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, I, თბ., 1970, გვ. 182—245.

რწმუნება<sup>16</sup>, გეორგიევსკში 1783 წელს ხელმოწერილი ტრაქტატისა და ერეკლე II-ის მიერ 1784 წლის 24 იანვარს რატიფიცირებული ტექსტები<sup>17</sup>.

---

<sup>16</sup> დატულია მოსკოვში, რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში. АВПР, ф. „Трактаты“, оп. 2 (466<sup>а</sup>), д. № 177, л. 3.

<sup>17</sup> ჩვენი პუბლიკაცია უკვე წარმოებაში იყო, როდესაც გამოქვეყნდა ვ. მაკარაძისა და ს. პოვალნიკოვის წერილი, რომელშიც განხილულია გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების თავისებურებანი და მისი გარეგანი სახე: კერძოდ, დადგენილია ქალაქის წარმომავლობა, რომელზეც დაწერილია ერეკლე II-ის მიერ ი. ბაგრატიონისა და გ. ჭავჭავაძისადმი გაცემული რწმუნება და გეორგიევსკში ხელმოწერილი ტექსტი ტრაქტატისა, აგრეთვე მოცემულია ლუქის ბეჭდების წარწერების ამოკითხვის ცდა (В. Мачарадзе, С. Повальников, Подлинник русско-грузинского договора 1783 года. „Литературная Грузия“, 1982, № 2).





Георгиевску — маленькой крепости, построенной в 70-х годах XVIII века на Северном Кавказе, на берегу реки Подкумок, в 1783 г. суждено было стать местом заключения международного договора, естественно, получившего название Георгиевского. Это был трактат о вступлении Картли-Кахетинского царства, т. е. Восточной Грузии, под покровительство России.

Георгиевский трактат, с одной стороны, был результатом активизации политики России на Кавказе, а с другой — все более усиливавшегося стремления Грузии к избавлению от агрессии Ирана и Турции.

Передовыми государственными деятелями Грузии в XVI—XVIII веках в процессе неравной борьбы против турецко-иранских завоевателей был выработан внешнеполитический курс, направленный на установление союза с Россией. Картли-Кахетинский царь Ираклий II твердо придерживался этой традиционной политики.

Что же касается правительства Екатерины II, то оно учитывало военно-политическое и экономическое значение Грузии в осуществлении своей политики на Ближнем и Среднем Востоке. Поэтому в 80-х годах XVIII века, когда Российская империя успешно осуществляла расширение своих границ на юге, правительство Екатерины II сочло нужным согласно нормам международного права оформить вступление под покровительство России самого сильного на Кавказе государства — Картли-Кахетинского царства.

Осуществление на юге внешней политики русского государства было поручено Григорию Александровичу Потемкину, Новороссийскому, Азовскому, Саратовскому и Астраханскому наместнику, который после присоединения к России Крыма (апрель 1783 г.) получил также титул «светлейшего князя Таврического». Ввиду того, что Г. А. Потемкин был очень занят устройством дел на юге европейской части России, для большей оперативности он решил выделить кавказские дела в отдельное управление. Вести эти дела он поручил своему родственнику Павлу Сергеевичу Потемкину, который был назначен командующим на Кавказской линии. В ноябре 1782 г. П. С. Потемкин прибыл в Георгиевск, где была расположена его штаб-квартира.

Григорий Потемкин через своего комиссионера Я. Рейнегса известил Ираклия II о том, что если он на сей раз обратится к Екатерине II с просьбой о принятии Картли-Кахетинского царства под покровительство России, то его просьба будет незамедлительно удовлетворена. 21 декабря 1782 года Ираклий II официально поставил этот вопрос, выдвинув свои условия. Правительство России приступило к составлению проекта договора, что было поручено члену Коллегии иностранных дел А. А. Безбородко.

В мае 1783 года подполковником В. С. Тамара проект договора был доставлен в Тбилиси Ираклию II. После детального рассмотрения проекта на царском совете Ираклий II принял решение об оформлении договора. Подписать Георгиевский трактат от имени России поручалось генералу П. С. Потемкину, а от имени Картли-Кахетинского царства — князю Ивану Константиновичу Багратиони и князю Гарсевану Ревазовичу Чавчавадзе. Местом подписания была избрана Георгиевская крепость.

18 июля 1783 г. полномочные представители Картли-Кахетинского царства в сопровождении свиты, состоявшей из 22 человек, торжественно, по заранее установленному церемониалу были приняты в Георгиевске. Начались заседания и обсуждения. 24 июля 1783 года состоялась процедура подписания договора.

Георгиевский трактат провозглашал вступление суверенного Картли-Кахетинского царства под покровительство Российской империи.

Оформляя этот договор согласно нормам международного права, Грузия окончательно отрекалась от своей зависимости от Ирана и Турции и добровольно вступала под покровительство России. Тем самым она связывала свою дальнейшую судьбу с прогрессивным процессом развития, происходившим в России.

Правосознание и правовые нормы, которыми руководствовались Россия и Грузия при подписании трактата, были характерны для международного права эпохи феодализма. Это был договор о добровольном вступлении под покровительство сильного феодального государства более слабого царства. Этим актом грузинские патриоты старались заручиться юридической гарантией того, что Российская империя впредь будет выступать защитницей суверенности грузинского государства и обеспечит его безопасность от нашествий внешних врагов.

Текст договора состоит из преамбулы, 13 основных и 4 сепаратных статей, или артикулов. К ним прилагаются: текст присяги, которую должен был принять Ираклий II в знак верности Российской империи, а также дополнительный артикул, который касался порядка венчания на царство и миропомазания грузинских царей. Этот артикул был составлен позже. Грузинские представители предложили его в Георгиевске, а подписали уже в Тбилиси 24 января 1784 года, в день ратификации Георгиевского договора Ираклием II.

Трактат вступал в силу после обмена ратификационными грамотами. 22 января 1784 года Ираклий II получил ратификационную грамоту Екатерины II, которую вместе со знаками инвеституры привез в Тбилиси В. С. Тамара (уже возведенный в чин полковника). А 24 января 1784 года Ираклий подписал свою ратификационную грамоту и передал ее В. С. Тамаре для вручения Екатерине II. Одновременно с этим Ираклий представил список князей и дворян Картли-Кахетинского царства, так как они в силу девятой статьи трактата в случае поездки в Россию должны были получить право пользования всеми сословными привилегиями, какими пользовалось русское дворянство. Этот список был подписан Ираклием II 28 июня 1783 г.

Сепаратные артикулы договора считались секретными, поэтому не предавались гласности.

До нас дошли подлинники только грузинских документов. Это: 1) грузинский текст трактата, подписанный в Георгиевске 24 июля 1783 года, который ныне хранится в Москве, в Архиве внешней политики России<sup>1</sup>, и 2) текст ратификационной грамоты, подписанной Ираклием II 24 января 1784 года, которая тогда же была послана русскому правительству. По решению Советского правительства эта ратификационная грамота вместе с другими грузинскими рукописями в 1922 году была привезена в Тбилиси и ныне хранится в Институте рукописей имени К. С. Кекелидзе АН Грузинской ССР (Н-2073). Грузинский подлинник, подписанный в Георгиевске, написан на белой бумаге размером 46,3 × 31,2 см, а ратификационная грамота с грузинской стороны — на коже с ворсистой поверхностью размером 48 × 34 см.

Русские подлинники, т. е. подписанные русские тексты, в архивах не обнаружены. К грузинскому подлиннику, хранящемуся в Москве в Архиве внешней политики России, приложены неподписанные русские тексты с обозначением, что они являются переводами подписанных грузинских текстов. А на черновике текста ратификационной грамоты с русской стороны значится, что он был «высочайше апробован в Царском Селе 11 сентября 1783» и подписан Екатериной II 21 сентября того же года. Русская ратификационная грамота была послана картли-кахетинскому царю и должна была храниться в Тбилиси. Но, к сожалению, этот документ, так же, как и весь архив грузинских царей, до нас не дошел. Вспомним тот варварский разгром, которому подвергся Тбилиси в 1795 г. во время вторжения полчищ правителя Ирана Ага-Мухаммед-хана.

Георгиевский трактат впервые был опубликован в том же 1783 году в Петербурге. В сенатской типографии были напечатаны 13 статей русского текста, и текст клятвенного обещания Ираклия II. Эта публикация предназначалась для всеобщей информации, что ясно видно из письма члена Коллегии иностранных дел, «полномочного для всех негоци-

---

<sup>1</sup> АВПР, ф. «Трактаты», оп. 2(466<sup>а</sup>), д. № 178, лл. 3—8.

аций» А. А. Безбородко, которое он послал из Царского Села в Коллегию иностранных дел 21 августа 1783 г. В нем говорилось: «Препровождая сим трактат, заключенный с Карталинским и Кахетинским царем Ираклием Теймуразовичем о признании им верховной власти Всероссийских императоров над царями и царствами Карталинским и Кахетинским, имею честь сообщить вашему сиятельству о высочайшем ея императорскаго величества соизволении, чтоб, во-первых, на сей трактат заготовлена была императорская ратификация, в которой царю Ираклию Теймуразовичу дать все те титулы, коими он себя именует в своей полной мочи. Второе, сей трактат для сведения в империи Всероссийской напечатать, а хотя и должно оный во известие сообщить министрам российским в чужих краях пребывающим, но притом наставить их, что в случае каковых-либо беспокойств от каких бы то ни было держав имеют они ответствовать, что у нас все вообще дела азиатские почитаются посторонними и отнюдь не принадлежащими к европейским державам, так что и сами союзники наши имеют о том с нами точное условие, что и здесь наблюдать. Третье, что же касается до сепаратных артикулов, оные в печать не отдавать и никуда не разсылать»<sup>2</sup>.

В 1784 году, по поручению Коллегии иностранных дел, в Петербурге в типографии Академии наук тиражом в 900 экземпляров параллельно на русском и грузинском языках (грузинский текст был набран церковно-строчным шрифтом) были напечатаны 13 основных статей трактата и текст клятвенного обещания Ираклия II. К ним прилагался список князей и дворян Картли-Кахетинского царства. В связи с подготовкой этого издания небезынтересно письмо А. А. Безбородко в Коллегию иностранных дел от 15 декабря 1783 года, в котором значилось: «Ея императорскому величеству угодно, чтоб... препроводить к ея сиятельству княгине Катерине Романовне Дашковой с г-м канцелярии советником князем Моуравовым верную копию трактата, постановленного с Карталинским и Кахетинским царем Ираклием для напечатания в Академии на грузинском и российском языках»<sup>3</sup>.

---

<sup>2</sup> АВПР, ф. «Трактаты», оп. 2(466<sup>a</sup>), д. № 178, л. 18 и об.

<sup>3</sup> Там же, л. 19.

Публикации 1783 и 1784 годов не имеют титульных листов и заглавий. Следующее издание Георгиевского трактата было осуществлено в 1830 г., когда в «Полном собрании законов Российской империи» был опубликован русский текст<sup>4</sup>. Но в нем по-прежнему недоставало сепаратных артикулов.

На грузинском языке 13 основных статей договора, четыре сепаратных артикула и текст присяги, однако без дополнительной статьи о порядке венчания на царство и миропомазания грузинских царей, а также без списка князей и дворян Картли-Кахетинского царства, были опубликованы А. А. Цагарели в 1898 г. по тексту ратификационной грамоты, подписанной Ираклием II<sup>5</sup>. Поэтому, естественно, эта публикация содержит также соответствующие тексты вступительной и заключительной частей ратификации, но без указаний на это. Тем самым данная публикация является изданием подлинника ратификационной грамоты, подписанной Ираклием II, а не подлинника того текста договора, который был подписан в Георгиевске П. С. Потемкиным, И. К. Багратиони и Г. Р. Чавчавадзе. А. А. Цагарели принадлежит также и публикация текста проекта договора, составленного А. А. Безбородко, а также русского текста сепаратных артикулов<sup>6</sup>.

Остальные издания Георгиевского трактата лишь повторяли предыдущие публикации. Например, З. Д. Авалишвили (З. Авалов) опубликовал трактат по тексту, изданному в «Полном собрании законов Российской империи». Это, как было сказано, русский текст 13 статей договора и дополнительная статья о порядке венчания и миропомазания грузинских царей<sup>7</sup>. В 1918 г. Г. Вешапели повторил издание ратификационной грамоты Ираклия II по публикации А. А. Цагарели, но со ссылкой на «Полное собрание законов Российской империи»<sup>8</sup>.

<sup>4</sup> Полное собрание законов Российской империи, т. 21, СПб., 1830, № 15835, с. 1013—1017.

<sup>5</sup> Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. II, вып. I, СПб., с. 99—110.

<sup>6</sup> Грамоты..., т. II, вып. II, СПб., 1902, с. 32—41.

<sup>7</sup> З. Авалов. Присоединение Грузии к России, СПб., 1906, с. 278—287.

<sup>8</sup> Г. Вешапели. Грузия и Россия, Тбилиси, 1918, с. 27—44 (на грузинском языке).

В 1949 г. Д. Енукидзе опубликовал текст ратификационной грамоты Ираклия II по подлиннику, т. е. по рукописи Н—2073<sup>9</sup>. Однако он допустил неточность, заявив, что рукопись якобы дошла до нас не полностью и поэтому, как он сам отмечает, «начало и окончание исторического памятника» были воспроизведены им по изданию А. Цагарели<sup>10</sup>. Но дело в том, что публикация А. Цагарели начинается текстом полномочий, данных Ираклием II 28 июня 1783 г. И. К. Багратиони и Г. Р. Чавчавадзе, который напечатан без заглавия и каких-либо указаний. Понятно, что этот текст никак не может быть принят за начало текста Георгиевского трактата. Также не может быть принят за окончание текста договора текст заключительной части ратификации 13 основных пунктов, помещенный А. Цагарели почему-то в конце публикации.

В 1960 г. Я. З. Цинцадзе опубликовал по изданию А. А. Цагарели текст проекта договора, составленного А. А. Безбородко, и официальный русский текст по изданию ПСЗ, а также текст ратификационной грамоты Ираклия II без указания на то, что это текст ратификационной грамоты, а не подлинника договора, подписанного в Георгиевске<sup>11</sup>.

В 1964 году А. М. Иовидзе и Ш. К. Чхетия повторили русский текст трактата по изданию ПСЗ<sup>12</sup>, т. е. издали неполный текст.

Грузинский и русский тексты Георгиевского трактата, однако без дополнительной статьи, в 1965 г. опубликовал И. С. Долидзе<sup>13</sup>. Грузинский текст был опубликован им

---

<sup>9</sup> Документы международного права и международных отношений. Составил и комментариями снабдил Д. Енукидзе, Тбилиси, 1949, с. 31—43 (на грузинском языке).

<sup>10</sup> Там же, с. 43.

<sup>11</sup> Я. З. Цинцадзе. Покровительственный трактат 1783 года, Тбилиси, 1960 (на грузинском языке).

<sup>12</sup> А. М. Иовидзе, Ш. К. Чхетия. К истории русско-грузинского боевого содружества, «Исторический вестник», т. 17—18, Тбилиси, 1964, с. 281—285.

<sup>13</sup> Памятники грузинского права. Тексты издал, примечаниями и указателями снабдил И. С. Долидзе, II, Тбилиси, 1965, с. 457—492, 639.

по ратификационной грамоте Ираклия II, а русский текст — по предоставленной нами фотокопии<sup>14</sup>.

Таким образом, в каждой из вышеназванных публикаций недостает какой-нибудь части, а то и нескольких. Текст же грузинского подлинника, подписанного в Георгиевске, во все не учитывался и не публиковался, не издавался также и грузинский текст дополнительной статьи о порядке венчания и миропомазания грузинских царей.

Это обстоятельство и определило наше решение осуществить публикацию как грузинского, так и русского текстов Георгиевского трактата полностью, со всеми дополнениями и приложениями, с соответствующим показом как стилистических и орфографических отличий, существующих в грузинских подлинниках (т. е. в подписанном в Георгиевске грузинском тексте и в тексте подлинника ратификационной грамоты Ираклия II), так и разночтений, содержащихся в ранних публикациях.

Такую публикацию совместно с Р. С. Миминошвили мы представили на суд читателей в 1970 году<sup>15</sup>.

Теперь в связи с юбилеем 200-летия Георгиевского трактата отдельной книгой издаются грузинский и русский тексты с соответствующими комментариями.

Тексты публикуются согласно принятым правилам издания исторических документов.

Настоящая публикация содержит также факсимильное издание фототипическим способом дошедших до нас грузинских подлинников<sup>16</sup>.

---

<sup>14</sup> Памятники грузинского права. Тексты издал, примечаниями и указателями снабдил И. С. Долидзе, II, с. 639.

<sup>15</sup> См. сб. «Вопросы истории внешней политики грузинских феодальных государств» (титул на грузинском языке).

<sup>16</sup> Данная публикация находилась в производстве, когда во втором номере журнала «Литературная Грузия» за 1982 год была опубликована статья В. Мачарадзе и С. Повальникова «Подлинник русско-грузинского договора 1783 года», в которой рассматриваются особенности оформления Георгиевского трактата и его внешний вид: определено происхождение бумаги, на которой были написаны полномочия, данные Ираклием II И. К. Багратиони и Г. Р. Чавчавадзе, и грузинский текст трактата подписанный в Георгиевске, а также сделана попытка прочтения надписей на личных сургучных печатях.



ერეკლე II-ის მიერ ი. ბაგრატიონისა  
და გ. ჭავჭავაძისადმი გასაქმული  
რწმუნება

1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში  
ხელმოწერილი ტექსტი

1784 წლის 24 იანვარს ერეკლე II-ის  
მიერ რატიფიცირებული ტექსტი

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია





[პრეკლე II-ის მიერ ი. ბაგრატიონისა და  
ბ. ჭავჭავაძისადმი გაცემული რწმუნება]

აზაერტგზის მიურთმევიათ თხოვად ტახტისადმი ყოვლისა რუსეთის თუთმპყრობელთასა წინაპართა ჩუენთა, მეფეთა ქართლისა და კახეთისათა. ხოლო ჰმსგავსად მათსა ტახტისადმი აწუ ბედნიერად მმეფობისა იმისის იმპერატორობისა დიდებულებისა ეკატერინა მეორისა, იმპერატრიცასი\* და თუთმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვოგოროდისა, მეფისა ყაზანისა, მეფისა ასტრახნისა, მეფისა სიბირისა, კელმწიფისა პსკოვისა და დიდისა თავადინასი სმოლენსკისა, თავადინასი ისტლანდისა, ლიქლანდიისა, კოზელისა, თვერისა, იულორისა, პერმისა, ვიატსკისა, ბოლღარისა და სსუათა, კელმწიფისა და დიდისა თავადინასი ნოვოგოროდის ნიზოვის ქუეყნისა, ჩერნიგოვისა, რეზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელაოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდიკისა და ყოვლისა ჩრდილოეთისა კერძომისა, მბრძანებელისა და კელმწიფისა ივერთა ქუეყნასა, ქართლისა და საქართუელომისა მეფეთა და ყაბარდოს ქუეყნისა, ჩერქეზისა და მთიურისა კნიაზთა და სსუათა მემკვდრისა კელმწიფისა და მფლობელსა მივართუთ უმდაბლესი თხოვად ჩუენ, ირაკლი მეორემან\*\*, მეფემან ქართლისა და მეფემან კახეთისამან, მემკვდრემან მთავარმან სამცხე-საათაბაგოსამან, მთავარმან ყაზახისამან, მთავარმან ბორჩალომისამან, მთავარმან შამშადილომისამან, მთავარმან კაკისამან, მთავარმან შაქისამან და მთავარმან შირვანისამან, მფლობელმან და მბრძანებელმან განჯისა, ერევნისა და სსუათამან, მიღებისათუს ჩუენისა და მონა-

ცუღეთა ჩუენთასა მფარველობასა ქუეშე იმისის იმპერატორე-  
ლის დიდებულებისასა და აღსარებისათს ჩუენ კერძო უზენა-  
ესისა კელმწიფებისა მისისა და მენაცუღეთა რუსეთის სამ-  
პერატორს ტახტისათა ქართლისა და კახეთისა მფლობელთა  
ზედა.

და უკანასკნელ მივიღევით იმისის იმპერატორების დიდე-  
ბულებისაგან მოწყალებითი ნებაჲ ამას ზედა, რომლისაცა და-  
სამტკიცებულად ცხადითა და ორითვე კერძოდთა მსგავსითა გან-  
წესებითა აღვარჩიეთ და სრულისა ძალისა მქონებულ ვჰყავით  
ჩუენ კერძო საყუარელნი და ერთგულნი ყმანი ჩუენნი: კნიაზი  
იოვანე კოსტანტინოვიჩი ბაგრატიონი, მხედრობისა ჩუენის  
მემარცხნე სპასკეტი, რომელსაცა აქუნ ჰრწმუნებულ საქ-  
მენი ერევნისანი და კნიაზი გარსევან რევაზოვიჩი ჭავჭავაძე\*,  
ჩუენი მანდატურთუხუცესი და ზედამხედუელი ყაზახისა სამ-  
თავროსა, რომელთათსცა მიგვცია სრული მინდობაჲ, რათა  
მისისა იმპერატორების დიდებულებისაგან განწესებულთა,  
სრულის ძალის მქონებულთა თანა რაჲცა განაწესონ, დაამტკი-  
ცონ და მოაწირონ ტრაქტატთა მფარველობისათს ჩუენ ზედა  
მისის იმპერატორების დიდებულებისა და მაღალთა მენაცუღე-  
თა მისთასა და ჩემ მიერ აღსარებისათს უზენაესისა კელმწი-  
ფებისა ყოვლისა რუსეთის თვთმპყრობელთასა ქართლისა და  
კახეთის მეფეთა ზედა. აღვსთქუამ ჩუენისა მეფობითისა სიტ-  
ყუთა, რომ კეთილად მივიღებ და უიჭუელად აღვასრულებ ყო-  
ველსა მას, რაჲცა კნიაზ იოანე ბაგრატიონისა და კნიაზ გარ-  
სევან ჭავჭავაძისაგან ძალითა აწინდელისა სრულისა ძალისა  
მქონებულობისათა აღითქმიან, განიწესებიან და მოიწერებიან.  
ესრეთვე მიეცემისცა ამათ ზედა რატიფიკაციამ ჩუენი განწე-  
სებულსა დროსა. რომლისაცა დასარწმუნებულად ამას სრულსა  
ძალსა ჩუენ საკუთარითა კელითა ჩუენითა მოვაწერეთ და უბ-  
რძანეთ დამტკიცებად სამეფოდთა ბეჭდითა ჩუენითა.

მეცათ<sup>1</sup> სამეფოსა ქალაქსა ჩუენსა ტფილისს. იუნისის 28  
დღესა, წელსა შობითგან ქრისტესით 1783, ოცდამეათცხრამე-  
ტესა წელსა მეფობისა ჩუენისასა.

ი რ ე კ ლ ი

(ბეჭედო)

თავადი რ ა ვ ი თ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

თავადი ქ ა ი ხ ო ს რ ო ჩ ო ლ ა ყ ა მ ვ ი ლ ი

<sup>1</sup> ასეა დედანში.



[1783 წლის 24 ივლისს გაორგოივისსაჲ  
ხელმოწერილი ტექსტი]

[პრეამბულა და ძირითადი მუხლები]

სახელითა ღმრთისა ყოვლისა შემძლებელისა ერთისა 31  
სამწმიდაობასა<sup>1</sup> შინა დიდებულისათა:

ადრითგან ერთმორწმუნობამან<sup>2</sup> ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა ქართუელთამან მსახურა<sup>3</sup> მფარველობითა, შემწობითა და შესავდრებელობითა მათ ერთათა და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღმდეგომად მაჭირკვებელთა<sup>4</sup>, რომელთაცა ქუეშე შემვრდომ იყვნეს<sup>5</sup> იგ[ი]ნი მეზობელთაგან თვსთა.

მფარველობამან ყოვლისა რუსეთისა თვითმპყრობელთამან მეფეთა მიმართ საქართუელთათა, ნათესავთა და ყმათა მათთადმი. მინიჭებულმან, გამოიყუნა მოკიდულებაჲ იგი უკანასკნელთა ამათ პირუელთა მათგან<sup>6</sup>, რომელიცა უფროსდა იჩუნების რუსეთის<sup>7</sup> საიმპერატოროფსა ტიტლოსაგან<sup>8</sup>.

აწ ბედნიერად მმეფობმან იმპერატორებისა მისისა დიდებულებამან\* ცხად უყო ერთა ამათ ნამდვილითა სახითა მონარხობითი თვისი კეთილნებობაჲ და დიდსულობითი მზრუნველობაჲ კეთილობისათვის მათისა, თვისითა ძლიერითა მეცადინობისა დართვთა, განთავისუფლებისათვის მათისა უღლისაგან მონებისა და საყუდრელითაგან ტყვედ მიკდისა ვაჟთა და ქალთასა, რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყვნეს და განაგრძელებს თვისსა მონარხობითსა მოხედუასა მფლობელთა მათდამი<sup>9</sup>.

<sup>1</sup> სამწმიდაობასა. <sup>2</sup> ერთმორწმუნობამან. <sup>3</sup> მსახურა. <sup>4</sup> მაჭირკვებელთა. <sup>5</sup> იყვნეს. <sup>6</sup> ამათგან. <sup>7</sup> რუსეთისა. <sup>8</sup> ტიტლოსაგან. <sup>9</sup> მათთადმი.

პაზრითა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა\*, რომელიცა მოღებულ იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულებისა მიღებისათვის ყოვლითა შემკვიდრითა და მენაცულობითა<sup>1</sup> თვისითა და ყოვლითა სამეფოთა და სამფლობელოთა თვისითა მონარხობითა მფლობელობასა ქუეშე მისისა დიდებულებისასა და ძალათა შემკვიდრეთა მისთა და მოსაყდრეთა, უზენაეს კელმწიფედ აღსარებითა ყოვლისა რუსეთისა იმპერატოროთა მეფეთა ზედა ქართულთა<sup>2</sup> და კახეთისათა, ყოვლად უმოწყალესობით ინება აღდგინება და დამტკიცებამ მეგობრობითისა პირობისა ჰსენებულისადმი უგანათლებულესისა მეფისა, რომლისაცა დონედ ერთ კერძო უგანათლებულესობა მისი სახელითა თვისითა და თვისთა მენაცულებათა აღიარებს უზენაესსა კელმწიფებასა და მფარუელობასა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა და ძალათა მოსაყდრეთა მისთა მფლობელთა ზედა და ერთა სამეფოთა ქართლისა და კახეთისათა და სხვათა სამფლობელოთა, შესაბამთა მათდამი<sup>3</sup>, რათა დანიშნულ ყოს<sup>4</sup> (სამეფოთა) დღესასწაულობითა და ნამდვლითა ხატითა შეკრულებამ თსი განსჯითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა. ხოლო მეორით კერძო, დიდებულებამ იმპერატორებისა მისისა ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ყოს<sup>5</sup> დღესასწაულობით, თუ ვითარცა აღმატებულებამ და სარგებელი მიენიჭების მოწყალისა და ძლიერისა მარჯუენისაგან მისისა ჰსენებულთა ერთა და უგანათლებულესთა მფლობელთა მათთა.

დასამტკიცებელად ესევითარისა პირობისა ინება დიდებულებამან იმპერატორებისა მისისამან სრულისა ძალისა ქონებად უგანათლებულესი კნიაზი იმპერიისა რომაულისა<sup>6</sup> გრიგორი ალექსანდროვიჩი პოტემკინი\*\*<sup>7</sup>, მკედართა თსთა დენარალანშეჩი, მბრძანებელი სუბუქისა ცხენოსნისა, გასწავლულისა<sup>7</sup> და გაუსწავლებელისა<sup>8</sup> და სხუათა მრავალთა სამკედროთა ძალთა, სენატორი, საკელმწიფოთა სამკედროთა კოლლეგიის ვიცე-პრეზიდენტი, ასტარხნისა<sup>9</sup> და სარათოვისა, აზოვისა და ნოვაროსისისა მოადგილე კელმწიფისა, დენარალ-ატუტანტი<sup>10</sup>

<sup>1</sup> მენაცულობითა. <sup>2</sup> ქართლისა. <sup>3</sup> მათთადმი. <sup>4</sup> ჰყოს. <sup>5</sup> ჰყოს.

<sup>6</sup> ჰრომაულისა. <sup>7</sup> განსწავლულისა. <sup>8</sup> განუსწავლელისა. <sup>9</sup> ასტარხნისა.

<sup>10</sup> დენარალ-ატუტანტი.

თქსი და დეისტვიტელნი კამერლერი, კავალერდვარდიისა კორპუსისა პორუთჩიკი, ლეიბლუარდიისა||პრეობრაჟენის პოლკისა პოდპოლკოვნიკი, უპირუელესი მთავარი პალატისა სასაჭურუელო მასა კელოვნებისა, კავალერი ორდენთა წმინდისა მოციქულისა ანდრეასი, ალექსანდრე ნევსკისა, სამკედროსა წმინდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმინდისა მოციქულთა მსწორისა<sup>1</sup> ვლადიმირისა დიდთა ჯუართა, კოროლთა პრუსიისა შავისა და პოლშისა თეთრისა არწივისა და წმინდისა სტანისლავისა, შუეციისა სერაჟიმთა, დატსკისა სპილო მასა და დოლსტინიისა წმინდისა ანნასი, ესევითარითა კელმწიფებითა, რათა არ ყოფასა მუნ თქსსა აღიწიოსმცა ნებითა თქსითა სრულისა ძალისა მქონებულად, ვისიცა კეთილად განსაჯოს<sup>2</sup> მან, რომელმან რომლისათჳს აღიწიია და სრულისა ძალისა მქონებულ ჰყო მაღალმსულელი უფალი მისის იმპერატორების დიდებულების<sup>3</sup> არმიისა<sup>4</sup> დენარალ-პორუტჩიკი<sup>5</sup>, ასტარხნის<sup>6</sup> დუბერნიის მკედრობისა მოკამანდე, მისის იმპერატორების დიდებულებისა დეისტვიტელნი<sup>7</sup> კამერლერი და ორდენთა რუსეთისათა წმიდისა<sup>8</sup> ალექსანდრე ნევსკისა<sup>9</sup>, სამკედროსა<sup>10</sup> დიდის მოწამის<sup>11</sup> და ძლევაშემოსილის გიორგისა და დოლსტინიის<sup>12</sup> წმიდის<sup>13</sup> ანნას კავალერი პავლე სერგიევიჩი<sup>14</sup> პოტემკინი.

ხოლო უგანათლებულესობამან ქართლისა და კახეთისა მეფისა იზაკლი თეიმურაზოვიჩისამან აღიწიია და სრულისა ძალისა<sup>15</sup> ჰყუნა კერძოთ თქსით ბრწყინულენი — სამკედროსა თქსისა მემარცხენ სპასპეტი კნიაზი თავადი იოანე კოსტანტინევიჩი<sup>16</sup> ბაგრატიონი და მისის<sup>17</sup> უგანათლებულესობისა თავადი გარსევან ჭავჭავაძე\* მანდატურთუხუცესი<sup>18</sup>.

ჰქსენებულთა მათ, სრულისა ძალისა მქონებულთა და შეწევნითა ღმრთისათა საქმისა მიმართ მიწევნულთა, ურთიერთარს

<sup>1</sup> სწორისა. <sup>2</sup> განჰსაჯოს. <sup>3</sup> დიდებულების იმპერატორობისა. <sup>4</sup> არმიის. <sup>5</sup> დენარალ-პორუტჩიკი. <sup>6</sup> ასტარხნის. <sup>7</sup> დეისტვიტელნი. <sup>8</sup> წმიდათა. <sup>9</sup> + თავადის ვლადიმირისა პირველისა ხარისხისა. <sup>10</sup> სამკედროს. <sup>11</sup> მოწამისა. <sup>12</sup> პოლშტინიისა. <sup>13</sup> წმიდისა. <sup>14</sup> — სერგიევიჩი. <sup>15</sup> + მქონებულ. <sup>16</sup> ბრწყინულენი... კოსტანტინევიჩი ბრწყინვალენი თავადნი მკედრობისა თქსისა მემარცხენ სარდარი და უმთავრესი თან-განმზრახი ერევნისა საქმეთა თავადი იოანე კოსტანტინოვიჩი. <sup>17</sup> მისისავე. <sup>18</sup> თავადი... მანდატურთუხუცესი მანდატურთუხუცესი და ზედამხედველი ყაზახისა კნიაზ გარსევან ჭავჭავაძე.

ნაცულისმგებელთა სრულისა ძალისა მქონებლობისა მიერ, მებრ ძალისა მათისა, დაადგინეს და და[ა]მტკიცეს და მოაწერეს შემდგომთა არტიკულთა, ანუ წევრთა:

### ა რ ტ ი კ უ ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

უგანათლებულესობა<sup>1</sup> მისი მეფე ქართლისა და კახეთისა სახელითა თვისითა, მემკვდრეთა და მენაცულებთა თვისთა, დღესასწაულობით უკუნსთქუამს<sup>2</sup> ყოველსა ვალობასა\*, ანუ ვითარსამეტიტლოსა, ყოვლისაგან მოკიდულებისა\*\* სპარსთასა ანუ სსუათა მპყრობელთასა. და ამით ცხადჰყოფს წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა, ვითარმედ არა შერაცხს<sup>3</sup> იგი თვის ზედა და მენაცულებთა თვისთა ზედა სსუასა თვთმპყრობელსა, თნიერ უზენაესისა კელმწიფებისა და მფარუელობისა მისისა იმპერატორების დიდებულებისა და მაღალთა მისთა მემკვდრეთა და მენაცულებთა საიმპერატორომასა ტახტისა ყოვლისა რუსეთისათა, აღმთქმელი ტახტისა მის ერთგულებისა და მზა ყოფისა შეწევნისათვის სარგებელისა საკელმწიფომასა (რუსეთისა), ყოველსა შინა შემთხუევასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

### ა რ ტ ი კ უ ლ ი მ ე ო რ ე

დიდებულება იმპერატორებისა მისისა, მიმდებელი უგანათლებულესობისაგან მისისა ესოდენისა უზაკუელისა აღთქმისა, აღსთქუამს<sup>4</sup> თანაჰსწორადუე და იმედუელ ჰყოფს იმპერატორებრითა სიტყუთა თვისითა თავისა თვისისათვის და მოსაყდრეთა თვისთათვის, ვითარმედ მოწყალება და მფარუელობა თვისი უგანათლებულესთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა არაოდეს მიეღების, რომლისაცა დასამტკიცებელად დიდებულება მისი აღლევს იმპერატორებრსა თავსმდებობასა თვისსა მართლად (და დაუკლებელად) დაცუასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა იზაკლი თეიმურაზოვიჩისათა. და წინა-დასდებს<sup>5</sup> განვრცელებასა ესე ვითარისა თავსმდებობისასა ესგუარსა ზედა სამფლობელოთა, რათა რომელნიცა წარ-

<sup>1</sup> უგანათლებულესობაჲ. <sup>2</sup> უკუნსთქუამს. <sup>3</sup> შეპრაცხს. <sup>4</sup> აღსთქუამს. <sup>5</sup> წინა-დასდებს.